დასახელება	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
შპს "ლისი"	871,486	862,408
შპს "ეიპი"	380,102	380,102
შპს "ჯეი ფროფერთი"	2,845,050	2,825,396
LLC Kerneli's Fun Club	557	557
Omofox Fanclub LLC	3,190	3,190
DATAMIND FANCLUB LLC	14,140	14,140
PROCOUNTER LLC	8,326	8,326
შპს "დაწყებითი ბიზნესის და ინოვაციების საინვესტიციო ფონდი"	93,226	93,226
Cosmoinvest LLC	5,404	5,404
Inertia LLC	5,404	5,404
შპს "აქსელ მარჩ ინვესტმენტი"	10,266	-
შპს "აქსელ მეი ინვესტმენტი"	7,667	-
შპს "აქსელ არტისიო ინვესტმენტი"	4,014	-
შპს "აქსელ ჯუნ ინვესტმენტი"	8,028	-
შპს "აქსელ დათამაინდ ინვესტმენტი"	2,564	-

შპს G & G Invest

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შპს "აქსელ ეიპრილ ინვესტმენტ"	11,790	-
შპს "აქსელ ოგუსტ ინვესტმენტ"	13,536	-
შპს "აქსელ ოქტობერ ინვესტმენტ"	5,450	-
სულ მონაწილეობა მეკავშირე საწარმოში	4,290,199	4,198,152

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ოპერაციების არსებით თანხას წარმოადგენს შპს „ჯეი ფროფერტ“-თან განხორციელებული ტრანზაქციები, რომლის 20%-იანი წილის მფლობელები არიან: შპს „ჯეი 1“, შპს „ჯეი 2“, შპს „ჯეი 3“, შპს „ჯეი 4“ და შპს „ჯეი 5“. რაც შეეხება დანარჩენ მეკავშირე საწარმოებს, წარმოადგენენ Start Up-ებს, რომლებიც შეიქმნენ 2023 წელს და მათ უმეტესობას ეკონომიკური საქმიანობა ჯერ არ დაუწყია.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ჯგუფის საოპერაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოური ვალუტით მიღებული არა მონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ჯგუფმა გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ლარი/1 ევრო	2.9753	2.8844

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც ჯგუფმა გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ისინი ძირითადად მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის შედეგად წარმოიქმნება. ჯგუფის საქმიანობიდან გამომდინარე მას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სავაჭრო მოთხოვნები, ვინაიდან ის მომხმარებელზე საკურების გადაცემას ახორციელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ნასყიდობის ხელშეკრულების საგნის საფასური სრულად არის გადახდილი ავანსად ან გადაცემის მომენტისათვის. შესაბამისად მიწოდებიდან წარმოქმნილი სავაჭრო მოთხოვნები არ არის ანგარიშგების მნიშვნელოვანი კომპონენტი და არ უკავშირდება ძირითადი საქმიანობის განხორციელებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ შემთხვევისა თუ გადახდა გადავადებულია საანგარიშო თარიღის შემდეგ 12 თვეზე მეტი ვადით. ჯგუფი ახორციელებს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული მოთხოვნების ანალიზს და იმ შემთხვევაში თუ დაასკვნის რომ წარმოქმნილი მოთხოვნა შესაძლოა შეიცავდეს გაუფასურების ნიშნებს, აკორექტირებს მას წარდგენილ ანგარიშგებაში.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი ჯგუფი ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ ჯგუფი მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

გადახდილი ავანსები (გაგრძელება)

ჯგუფის გადახდილი ავანსები მოიცავს სამშენებლო მომსახურების გაწევასთან და მასთან დაკავშირებული მასალების შეძენასთან დაკავშირებულ გადახდილ ავანსებს. ისინი არც ერთი არ მოიცავს ერთ წელზე მეტი ვადით წარმოქმნილ მოთხოვნას შესაბამისად კლასიფიცირებულია ანგარიშგებაში მიმდინარედ.

თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები შედგება ქონებისგან რომელიც შექმნილია ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის პირობებში გასაყიდად, რომელიც ფლობილია, როგორც მიმდინარე მარაგი და შეფასებულია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულებაში შედის მიწის, მშენებლობის, კაპიტალიზირებული ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები, სამშენებლო ლოკაციის მომზადების, დაგეგმვისა და დიზაინის დანახარჯები და სხვა პირდაპირი დანახარჯები.

ქონება რომლის სტატუსიც წინასწარ შეთანხმებულია, არ აქვს ალტერნატიული გამოყენება ჯგუფისთვის, რადგან ეს შეზღუდულია ხელშეკრულების პირობებით. თუმცა, გადახდის მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა ქონებაზე იურიდიული უფლების მომხმარებელზე გადაცემამდე. მარაგის თვითღირებულება რომელიც მისი გასვლისას აღიარდება მოგება ან ზარალში განსაზღვრულია გაყიდული ქონების პროპორციულად და თვითღირებულება განაწილებულია გაყიდული ქონების შესაბამის ზომასზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

ჯგუფის საკუთრებაში სასაქონლო-მატერიალურ მარაგებად ასევე აღიარებულია ისეთი მიწები, რომელზეც ჯერ მშენებლობის პროცესი არ დაწყებულა, მაგრამ ისინი შეძენილია მასზე შემდგომი მშენებლობის მიზნებისათვის. ასეთი ტიპის მიწის ნაკვეთებზე ჯგუფს უკვე ჩატარებული აქვს სხვადასხვა სამუშაოები და მინიჭებული აქვს მშენებლობის ნებართვები ან/და სხვა პროცედურები მაგრამ ანგარიშგების თარიღისათვის ჯერ არ აქვს მასზე მშენებლობა დაწყებული.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის წმინდა დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. შესაბამისად, ჯგუფი ყველა საგადასახადო კრედიტორულ ვალდებულებებთან ან დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს წარადგენს თითოეული საწარმოს მიხედვით, წმინდა საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს მათი გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში ღირებულებაზე მათი განაწილებით:

• შენობა-ნაგებობა	20 წელი
• მანქანა-დანადგარები	5-7 წელი
• ოფისის აღჭურვილობა	5-7 წელი
• ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-7 წელი
• სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები

მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები მოიცავს ბინის შესაძენად წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილ თანხებს რომლის სანაცვლოდაც მყიდველს საკუთრებაში გადაეცემა შემდგომ უძრავი ქონება. ვინაიდან ჯგუფის სამშენებლო პროექტების ძირითადი ნაწილი ერთი წლის ვადაში სრულდება რადგან საცხოვრებელი კომპლექსები არ არის მრავალსართულიანი მიღებულ ავანსზე 12 თვეზე მეტი ვადით მიწოდების ვალდებულება არ არის განსაზღვრული.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესების მიერ. ცვლილებები ჯგუფის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ ჯგუფის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება, როგორც საწესდებო კაპიტალი ჯგუფის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა ჯგუფის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო ჯგუფის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად, მაგრამ არ იყო ასახული ჯგუფის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

ღივიღნდები

ღივიღნდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული ღივიღნდი აისახება შემდგომში მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

სესხები

სესხების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის დანახარჯების გამოკლებით და შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია - იმ სესხების საერთო და კონკრეტული ხარჯების კაპიტალიზაცია, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია იმ აქტივების შეძენასთან, მშენებლობას ან წარმოებასთან, რომელთა აღიარება არ ხდება რეალური ღირებულებით და რომლებიც აუცილებლად საჭიროებს მნიშვნელოვან დროს დანიშნულებისამებრ გამოყენებისა თუ გაყიდვისთვის მოსამზადებლად (განსაკუთრებული აქტივები), კაპიტალიზდება როგორც ამ აქტივების თვითღირებულების ნაწილი, თუკი მისი გადახდა ხორციელდება აქტივის ექსპლუატაციაში შესვლამდე.

შემოსავალი

ამონაგები არის ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასის თანხით. გარიგების ფასი არის ანაზღაურების ის ოდენობა, რომლის მიღების უფლებას ჯგუფს მოეწიება, რომ მოიპოვებს მომხმარებლისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ, გარდა მესამე მხარის სახელით მიღებული თანხებისა.

ამონაგები აღიარდება ფასდაკლებების და დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით.

ფიქსირებული ფასის მქონე ხელშეკრულებების შემთხვევაში მომხმარებელი იხდის ფიქსირებულ თანხას გადახდების განრიგის საფუძველზე. თუკი ჯგუფის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულება აღემატება გადახდილ თანხას, ხდება სავაჭრო მოთხოვნის აღიარება. თუკი გადახდა აღემატება გაწეულ მომსახურებას, ხდება სახელმწიფო ვალდებულების აღიარება.

თუ ხელშეკრულება მოიცავს ცვალებად ანაზღაურებას, ამონაგების აღიარება ხდება იმ ხარისხით, რომლითაც არსებობს იმის მაღალი ალბათობა, რომ ასეთი ანაზღაურების მნიშვნელოვანი დაბრუნება არ მოხდება.

ამონაგები ბიწების გაყიდვიდან.

ჯგუფი ყიდის საცხოვრებელ ბიწებს. ამონაგები აღიარდება როდესაც ქონებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს. ქონებას რომლის სტატუსიც წინასწარ შეთანხმებულია ჯგუფისთვის არ აქვს ალტერნატიული გამოყენება, რადგან ეს შეზღუდულია ხელშეკრულების პირობებით. თუმცა, გადახდის მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა ქონებაზე საკუთრებაში ჩაბარებამდე და რის შემდეგაც იურიდიული უფლება გადაეცემა მომხმარებელს. შედეგად, ამონაგები და მოკორესპონდენტო მოთხოვნა აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს. ამონაგები შეფასებულია ხელშეკრულებით დადგენილი გარიგების ფასით. ანაზღაურება მისაღება კონტროლის გადაცემამდე. თუ საწარმო რაიმე დამატებით მომსახურებას უწევს მომხმარებელს ქონებაზე კონტროლის გადაცემის შემდეგაც, ამონაგები ასეთი მომსახურებიდან ითვლება განცალკევებულ შესასრულებელ ვალდებულებად და აღიარდება მომსახურების გაწევის გარკვეული დროის განმავლობაში.

თვითღირებულების ხარჯები

ჯგუფი ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც წარმოქმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

ჯგუფს სამშენებლო მომსახურებას უწევს მასთან დაკავშირებული კომპანია, რომელიც შეთანხმებული პირობების შესაბამისად ახორციელებს საცხოვრებელი სახლების მშენებლობას. პერიოდის თვითღირებულების ხარჯები მოიცავს რეალიზებული ბიწების შესაბამისად ჩამოწერილი კვადრატული ერთეულის თვითღირებულების ხარჯებს, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს ამ აქტივის შექმნასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ ხარჯებს.

გაყიდვის ხარჯები

გაყიდვის ხარჯის აღიარება ხორციელდება დარიცხვის მეთოდის გამოყენებით და ძირითადად მოიცავს ისეთ ხარჯებს, რომლის გაწევაც ხორციელდება უძრავი ქონების გაყიდვის მიზნებისათვის.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასები, წლიური ანაზღაურებადი შვებულებები, შვებულება ავადმყოფობის გამო, პრემიები და არა მონეტარული ბენეფიტების ირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც თანამშრომლები ჯგუფს მომსახურებას უწევენ. ჯგუფს არ გააჩნია რაიმე სამართლებრივი თუ კონსტრუქციული მოვალეობა, გასცეს პენსიები თუ მსგავსი ბენეფიტების. 2019 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, ჯგუფი სამართლებრივად ვალდებულია, გადაიხადოს თანამშრომელთა მთლიანი ხელფასებისა და ბენეფიტების 2%-ის ტოლი საპენსიო შენატანები.

შენიშვნა 3 - შემოსავალი რეალიზაციიდან	2023	2022
შემოსავალი გაყიდული ტექნიკური მომსახურებიდან	30,710	258,991
შემოსავალი ბინების რეალიზაციიდან	56,459,740	20,712,843
შემოსავალი მიწის რეალიზაციიდან	23,875	193,704
შემოსავალი კომერციული ფართების რეალიზაციიდან	-	4,118,026
შემოსავალი ავტოსადგომების რეალიზაციიდან	1,272,130	409,504
შემოსავალი საიჯარო ქირიდან	16,892	507,651
სხვა შემოსავალი	985,834	435,743
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	58,789,182	26,636,461

შენიშვნა 4 - თვითღირებულების ხარჯი	2023	2022
გაყიდული/შეძენილი საქონელი	38,586,603	17,246,305
ქვეკონტრაქტორები	2,546,858	1,301,733
სხვა თვითღირებულების ხარჯები	532,490	70,289
სულ თვითღირებულების ხარჯი	41,665,952	18,618,327

შენიშვნა 5 - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2022
სახელფასო ხარჯები	2,090,052	1,459,606
ცვეთა და ამორტიზაცია	197,269	240,505
საიჯარო ხარჯები	61,117	26,971
საკონსულტაციო ხარჯები	75,488	99,093
წარმომადგენლობითი ხარჯები	48,210	34,081
კომუნალური ხარჯები	59,058	106,136
კომუნიკაციის ხარჯები	21,143	24,346
მანქანის საექსპლუატაციო ხარჯები	15,370	22,122
საგადასახადო ხარჯები	64,561	100,613
სოციალური დანარიცხები	19,969	14,465
სამეურნეო ხარჯები	11,456	15,748
დაცვის მომსახურების ხარჯები	51,407	2,186
სხვა საერთო ხარჯები	191,659	202,653
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,906,759	2,348,526

შენიშვნა 6 - ფინანსური ხარჯი	2023	2022
საპროცენტო ხარჯები	291	4,899
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	153,420	307,759
სულ ფინანსური ხარჯი	153,711	312,658

შენიშვნა 7 - ფინანსური შემოსავალი	2023	2022
საპროცენტო შემოსავლები	731,956	330,499
სულ ფინანსური შემოსავალი	731,956	330,499

შპს G & G Invest

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 8 - ძირითადი საშუალებები

	შენობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება	3,926,399	6,398	243,969	181,389	59,418	4,417,574
ცვეთა	(376,337)	(1,066)	(76,629)	(98,338)	(36,011)	(588,382)
ბალანსი 31/12/2021	3,550,062	5,332	167,340	83,051	23,407	3,829,192
დანამატები	713,607	-	26,977	26,892	70,000	837,477
აქტივების ჩამოწერა	(2,706,517)	-	-	-	-	(2,706,517)
ცვეთა პერიოდისათვის	(189,838)	(1,600)	(25,032)	(17,405)	(6,761)	(240,636)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	383,656	-	-	-	-	383,656
ბალანსი 31/12/2022	1,750,970	3,732	169,285	92,538	86,646	2,103,172
დანამატები	164,282	-	22,091	14,142	48,933	249,447
აქტივების ჩამოწერა	(59,887)	-	-	-	-	(59,887)
ცვეთა პერიოდისათვის	(112,332)	(1,600)	(28,402)	(38,116)	(16,264)	(196,713)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	11,625	-	-	-	-	11,625
ბალანსი 31/12/2023	1,754,658	2,133	162,975	68,564	119,315	2,107,644
ბალანსი 31/12/2022	1,750,970	3,732	169,285	92,538	86,646	2,103,172
ბალანსი 31/12/2023	1,754,658	2,133	162,975	68,564	119,315	2,107,644

შპს G & G Invest

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 9 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები	31.12.2023	31.12.2022
საქონელი	689,215	689,215
ბინები	17,962,213	4,326,649
მიწის ნაკვეთები	26,946,346	52,426,755
დაუმთავრებელი წარმოება	2,072,742	7,099,416
სხვა მარაგები	31,338	26,083
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	47,701,853	64,568,118

შენიშვნა 10 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები	41,450	72,279
გაცემული ავანსები	12,992,857	11,428,546
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	32,659	28,903
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,066,966	11,529,728

შენიშვნა 11 - გაცემული სესხები	31.12.2023	31.12.2022
გაცემული სესხები	47,171	27,083
მისაღები პროცენტები	4,479	4,693
სულ გაცემული სესხები	51,650	31,776

მოძრაობა გაცემულ სესხებში იყო შემდეგი:

	2023	2022
1 იანვრის მდგომარეობით	31,776	67,415
სესხის გაცემა	20,000	209,661
გაცემული სესხის ძირის მიღებები წლის განმავლობაში	-	(59,738)
საპროცენტო ვალდებულების დარიცხვა	-	-
პროცენტის მიღება წლის განმავლობაში	-	(698)
ანარიცხი		(180,007)
საკურსო სხვაობა	(126)	(4,858)
სულ ნასესხები სახსრები	51,650	31,776

შენიშვნა 12 - ფული და ფულის ექვივალენტები	31.12.2023	31.12.2022
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშზე	13,341,452	10,783,475
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშზე	25,821,409	5,493,407
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	39,162,861	16,276,882

შენიშვნა 13 - სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	2,075,934	778,564
მიღებული ავანსები	25,548,445	19,724,774
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27,624,379	20,503,338

შპს G & G Invest

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შენიშვნა 14 - მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	31.12.2023	31.12.2022
მოკლევადიანი სესხები პარტნიორებისგან	5,860,097	4,536,187
გადასახდელი პროცენტები	107,268	107,268
სულ მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	5,967,365	4,643,455

პერიოდის განმავლობაში მოძრაობა მიღებულ სესხებში იყო შემდეგი:

	2023	2022
ნასესხები ფულადი სახსრები და გადასახდელი პროცენტები	4,643,455	2,064,357
სესხზე დარიცხული პროცენტი	-	4,899
მიღებული ფულადი სახსრები	2,551,700	5,427,180
გადახდილი პროცენტი	-	(4,899)
გადახდილი ძირი თანხა	(1,339,450)	(2,327,312)
დადებითი საკურსოს ხვაობა	111,660	(520,770)
სულ ნასესხები სახსრები	5,967,365	4,643,455

15. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ჯგუფის მიმართ არსებული წაყენებული არსებითი პრეტენზიები და სასამართლო დავები ძირითადად მოიცავს მოზინადრებთან დაკავშირებულ დავებს, რომელიც წარმოქმნილია ხელშეკრულების პირობების დარღვევით, გარე ფასაღზე თვითნებური ცვლილებების ჩატარებით. ასეთი ტიპის დავები რიგ შემთხვევაში ფინანსურ კომპენსაციას არ წარმოქმნის და მიზნად ისახავს საცხოვრებელი კომპლექსის პირვანდელი იერსახის შენარჩუნებას, რის გამოც მათ გავლენა ანგარიშგებაზე არ არსებობს.

საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა ასე გარე კონსულტაციების საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არანაირი საფუძველი შესაძლო სასამართლო პროცესის დაწყების, რომელიც გავლენას იქონიებს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

- (ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, პოლინგუერი კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
- (ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;
- (გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;
- (დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

შპს G & G Invest

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჯგუფს სამშენებლო მომსახურებას უწევს დაკავშირებული მხარე, შესაბამისად მასთან განხორციელებული ოპერაციები მოიცავს სამშენებლო მომსახურების შესყიდვებს.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები:

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები:	2023	2022
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,078,354	409,778

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:	2023	2022
სამშენებლო მომსახურების შეძენა	52,581,464	25,314,650
გაწეული მომსახურებები	1,069,006	1,054,096

მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება

მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	2023	2022
წამყვანი მენეჯმენტის ანაზღაურება	791,783	397,383

17. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში ჯგუფში მნიშვნელოვანი ცვლილებები და ოპერაციები არ განხორციელებულა, რომელიც შესაძლოა საჭიროებდეს ფინანსურ ანგარიშგებაში დაამატებთ წარდგენას.

8მპს „G & G Invest“-ის კონსოლიდირებული მართვლობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

მპს „G&G Invest“ წარმოადგენს ჯგუფს რომელიც ინვესტიციებს ახორციელებს უძრავი ქონების დეველოპმენტში. პროექტების უმეტესობას წარმოადგენს დიდი საცხოვრებელი უბნების განვითარება. კომპანიის მერ ბოლო პერიოდში განხორციელებული პროექტებია - „შენი სახლი ჯიქიაზე“ და „შენი სახლი კიკვიდის პარკთან“

კომპანია ამ ეტაპზე ახორციელებს 3 ძირითად პროექტს: „შენი სახლი სამგორში“, „შენი სახლი ლისზე“ და „შენი სახლი უნივერსიტეტის ქუჩაზე“. აღნიშნული პროექტები ჯგუფის მომდევნო 2-3 წლის ძირითადი განვითარების წყაროა.

ჩვენს საცხოვრებელ კომპლექსებს არა ერთი უპირატესობა გააჩნია, ისეთები როგორიც არის მაგალითად:

- საცხოვრებელი კომპლექსები სრულად აღჭურვილია მრავალფუნქციური საუბნო ინფრასტრუქტურით;
- გამწვანებული ეზო
- დაცული გარემო
- თანამედროვე ინფრასტრუქტურა

ყოველივე ეს ქმნის უნიკალურ სინთეზს რომ ჩვენთან ცხოვრება იყოს სასიამოვნო და უსაფრთხო.

ჯგუფის განვითარების გეგმები

ჯგუფი მუდმივად ცდილობს, თანამედროვე და ინოვაციური მეთოდების გამოყენებას. ბოლო 2 წლის განმავლობაში კომპანიამ წარმატებით განავითარა რამოდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება:

- დოკუმენტების ელექტრონული ხელმოწერის და შენახვის სტანდარტის დანერგვა.
- ბილინგის სისტემის დანერგვა.
- CRM მოდულის დანერგვა.
- ძირითადი ბიზნეს პროცესების სტანდარტის შექმნა.

ასევე უწყვეტად ხორციელდება ბაზარზე არსებული ტენდენციების მიმოხილვა და მომხმარებელთა მოთხოვნების შესწავლა იმისათვის რომ შევძლოთ კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნება და ჩვენი საცხოვრებელი კომპლექსები იყოს მუდამ მიმზიდველი.

კონკურენცია

საქართველოში სამშენებლო ბიზნესი ერთ ერთი ყველაზე კონკურენტული სექტორია, ვინაიდან ინტენსიურად ხორციელდება ქალაქის განაშენიანება. ბაზარზე უამრავი დიდი მოთამაშეა რომელიც მომხმარებელს სთავაზობს მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებს.

ჯგუფის კონკურენტული უპირატესობა არის ის, რომ ჩვენი პროექტები არ არის მრავალსართულიანი, შესაბამისად მისი მშენებლობა ერთ წელზე მეტ ვადას არ მოითხოვს. ამიტომ მომხმარებელი კუთვნილი საცხოვრებელი ფართით კმაყოფილდება დროულად. ამასთანავე ჩვენი ყველა განხორციელებული და მიმდინარე პროექტი არის საცხოვრებელი უბნის შექმნის კონცეფციაზე დამყარებული, რომელსაც თბილისის მასშტაბით ანალოგი არ აქვს. ამიტომ პირდაპირ კონკურენტად სხვა სამშენებლო სექტორის წარმომადგენლები არ მოიაზრებიან.

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის მიერ აშენებული მრავალფუნქციური კომპლექსები გამოირჩევა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებით მიღწეული მაღალი ხარისხით, ადგილმდებარეობით და არქიტექტურული დიზაინით.

გაყიდვებში დიდ როლს თამაშობს ბაზარზე უკვე დამკვიდრებული სახელი, მშენებლობის ხარისხი და უკვე შეძენილი მომხმარებელთან მაღალი სანდოობა რაც სამშენებლო ბიზნესისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ჩვენი მომხმარებლები ძირითადად არიან ახალგაზრდა ოჯახები რომლისთვისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საცხოვრებელი გარემო. ჩვენ ინტენსიურად ვატარებთ კვლევებს ამ მიმართულებით რათა ზუსტად ვიცოდეთ მომხმარებლების ქცევა.

მარკეტინგის მნიშვნელოვან ატრიბუტს წარმოადგენს, გაყიდული ბინებზე პასუხისმგებლობის აღება, მოვლა პატრონობა შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ. ზემოთ ჩამოთვლილი სერვისების ერთდროულად და ერთი სივრციდან მოწოდება უზრუნველყოფს გაყიდვების ტემპის მატებას.

გაყიდვების ხელისშემწყობ მთავარ პირობას წარმოადგენს კლიენტისთვის ხელმისაწვდომი ფასი და ასევე მათზე მორგებული სახელშეკრულებო პირობები (წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, ნასყიდობის ხელშეკრულება, განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება) ჯგუფში შესაძლებელია ხელშეკრულებების გაფორმება შიდა უპროცენტო განვადებით კლიენტის შესაძლებლობაზე მორგებული ინდივიდუალური პირობებით. ასევე აქტიურად ვთანამშრომლობთ საქართველოში მოქმედ ყველა ბანკთან კლიენტის მიერ მიზნობრივი სესხების დროულად მისაღებად.

თანამშრომლების რაოდენობა და სტრუქტურა

ვინაიდან ჯგუფი არ ასრულებს სამშენებლო სამუშაოებს დასაქმებული თანამშრომლები ძირითადად არიან გაყიდვების და ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები.

გაყიდვების თანამშრომლები მუდმივად გადიან ტრენინგებს და ხდება მათი კვალიფიკაციის ამაღლება რომ მომხმარებლებთან უკეთესი კომუნიკაცია შეძლონ.

გარემოს დაცვა

ჯგუფი სამშენებლო სამუშაოები ჩაატარა და ატარებს გარემოს დაცვის და უსაფრთხოების ნორმების მაქსიმალური გათვალისწინებით. მაგალითად, მშენებლობის პროცესში, გამოიყენება დამცავი ბადეები როგორც მტვერისგან ასევე უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად. მოთხოვნილი დადგენილი მოცულობის მიხედვით, სრულად შესრულებულია საპროექტო დავალება გამწვანების კუთხით.

გარდა ამისა, შენობის შესასვლელები ეწყობა მწვანე ნარგავებით. თავსდება ასევე სარეკრეაციო ზონა, სპორტული მოედანი. კომპანია ასრულებს შენობის პერიმეტრსა და შიდა ეზოში გარე განათების სამუშაოებს (მონტაჟდება ლამპიონები)

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ამ სექტორის მთავარი რისკი არის არა სტაბილური ეკონომიკური გარემო, რაც განაპირობებს იმას რომ მომხმარებელი აღარ არის გადახდისუნარიანი ან თავს იკავებს სამშენებლო სფეროში თანხის ინვესტირებისგან. ადგილობრივი ან გლობალური პოლიტიკური გარემო ხრიდან უბიძგებს მოხმარებელს რომ თავი შეიკავოს დამატებითი ხარჯის გაწევისგან, ამას თან ერთვის ბანკების დამატებითი რეგულაციები რომელიც ხელს უშლის კრედიტების ხელმისაწვდომობას და ერთობლივად ქმნის ისეთ გარემოს სადაც უძრავ ქონებაზე მოთხოვნა მცირდება.

ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა ინფლაცია და პროდუქტის თვითღირებულების ზრდაა. ეროვნული ვალუტის გაუფასურებით მიღებული შედეგები პირდაპირ აისახება სამშენებლო მასალების ღირებულებაზე რაც თავის მხრივ ზრდის გასაყიდი ბინების ღირებულებას.

ხარისხობრივი რისკი დაკავშირებულია დაბალი ხარისხის პროდუქტის შექმნასთან და მომხმარებლების ნეგატიურ შეფასებასთან. ამის პასუხად, ჯგუფი იყენებს უმაღლესი ხარისხის სამშენებლო და მოსაპირკეთებელ მასალებს. აღსანიშნავია, შენობის გამორჩეული არქიტექტურა და დიზაინი, რამაც განაპირობა პროექტის წარმატება.

კონკურენციის რისკი - კონკურენციის რისკი დაკავშირებულია ბაზრის წილის ფლობასთან, რაც გავლენას ახდენს ჯგუფის გაყიდვის უნარიანობაზე. ჯგუფმა გაუწია კონკურენცია ბევრ სამშენებლო სფეროში არსებულ კომპანიას, რაც გამოიხატა მომხმარებლების მაღალი დაინტერესებით და ჯგუფის ახალი პროექტების მოლოდინით.

დირექტორი - ბესიკ ორთოიძე

01.10.2024

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ამ სექტორის მთავარი რისკი არის არა სტაბილური ეკონომიკური გარემო, რაც განაპირობებს იმას რომ მომხმარებელი აღარ არის გადახდისუნარიანი ან თავს იკავებს სამშენებლო სფეროში თანხის ინვესტირებისგან. ადგილობრივი ან გლობალური პოლიტიკური გარემო ხრიდან უბიძგებს მოხმარებელს რომ თავი შეიკავოს დამატებითი ხარჯის გაწევისგან, ამას თან ერთვის ბანკების დამატებითი რეგულაციები რომელიც ხელს უშლის კრედიტების ხელმისაწვდომობას და ერთობლივად ქმნის ისეთ გარემოს სადაც უძრავ ქონებაზე მოთხოვნა მცირდება.

ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა ინფლაცია და პროდუქტის თვითღირებულების ზრდაა. ეროვნული ვალუტის გაუფასურებით მიღებული შედეგები პირდაპირ აისახება სამშენებლო მასალების ღირებულებაზე რაც თავის მხრივ ზრდის გასაყიდი ბინების ღირებულებას.

ხარისხობრივი რისკი დაკავშირებულია დაბალი ხარისხის პროდუქტის შექმნასთან და მომხმარებლების ნეგატიურ შეფასებასთან. ამის პასუხად, ჯგუფი იყენებს უმაღლესი ხარისხის სამშენებლო და მოსაპირკეთებელ მასალებს. აღსანიშნავია, შენობის გამორჩეული არქიტექტურა და დიზაინი, რამაც განაპირობა პროექტის წარმატება.

კონკურენციის რისკი - კონკურენციის რისკი დაკავშირებულია ბაზრის წილის ფლობასთან, რაც გავლენას ახდენს ჯგუფის გაყიდვის უნარიანობაზე. ჯგუფმა გაუწია კონკურენცია ბევრ სამშენებლო სფეროში არსებულ კომპანიას, რაც გამოიხატა მომხმარებლების მაღალი დაინტერესებით და ჯგუფის ახალი პროექტების მოლოდინით.


დირექტორი - ბესიკ ნიშვილი

01.10.2024